საგამოცდო ცენტრის დებულება

SPORTUNI

თავიI

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1.

1.1.წინამდებარე დებულება განსაზღვრავს სსიპ- საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) საგამოცდო ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) სამართლებრივ სტატუსს, ამოცანებსა და ფუნქციებს, სტრუქტურას, ანგარიშვალდებულებას და აწესრიგებს მის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

მუხლი 2.

2.1. ცენტრი წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, საქართველოს კანონით „უმაღლესი განათლების შესახებ“, უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტებით, წინამდებარე დებულებითა და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

2.2.ცენტრი ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორის წინაშე და ასრულებს მის მითითებებსა და დავალებებს.

თავი II

ცენტრის ძირითადი ამოცანები და ფუნქციები

მუხლი 3.

3.1. ცენტრის ამოცანაა:

უნივერსიტეტში გამოცდების ერთიანი სისტემის შექმნა და დანერგვა.

3.2. საგამოცდო ცენტრის ფუნქციებია:

ა) საგამოცდო პროცესის დაგეგმვა და ადმინისტრირება;

ბ) საგამოცდო პროცედურებისა და ინსტრუქციების შემუშავებაში მონაწილეობა;

დ) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში შესაბამისი კორესპონდენციის განხილვა და პასუხის მომზადება;

ე) შუალედური, დასკვნითი/დამატებითი გამოცდების ჩატარების განრიგის მომზადება და გამოქვეყნება;

ვ) გამოცდის ჩატარების პროცედურულ საკითხებზე შემოსული საჩივრების განხილვა;

ზ) გამოცდების დაწყებამდე ფაკულტეტებიდან საგამოცდო ბილეთების გამოთხოვა და ფაკულტეტის შესაბამისი თანამშრომლის მონაწილეობით მათი შედარება არსებული კურსების სილაბუსების საგამოცდო კომპონენტებთან;

თ) სტუდენტთა შიდა საუნივერსიტეტო ბაზაში საგამოცდო შეფასებების ასახვა;

ი)საგამოცდო პროცესის მონიტორინგი, გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორების მიზნით შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება და დეკანისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისათვის წარდგენა;

კ)სტუდენტის შეფასების გასაჩივრების ეფექტიანი მექანიზმის შექმნისთვის შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება;

თავი III

ცენტრის სტრუქტურა, ხელმძღვანელობა და თანამშრომლები

მუხლი 4

4.1.ცენტრს ხელმძღვანელობს უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი. ცენტრის უფროსი ანგარიშვალდებულია მის წინაშე.

4.2.ცენტრის უფროსის არყოფნის ან/და ამ პოზიციაზე ვაკანსიის არსებობის შემთხვევაში უნივერსიტეტის რექტორი იღებს გადაწყვეტილებას ცენტრის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის შესახებ.

4.3.ცენტრის შემადგენლობაში შედიან კოორდინატორები/დამკვირვებლები, რომლებსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი. ისინი ანგარიშვალდებულნი არიან ცენტრის უფროსის წინაშე. მათი ფუნქციები დაკონკრეტებულია მათთან გაფორმებული შრომითი კონტრაქტითა და სამუშაო აღწერილობით.

მუხლი 5

5.1. ცენტრის უფროსი:

ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს ცენტრის საქმიანობას;

ბ)ანაწილებს ფუნქციებს ცენტრის თანამშრომლებს შორის, აძლევს მათ შესაბამის მითითებებს და დავალებებს;

გ)პასუხისმგებელია ცენტრზე დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულებაზე;

დ) აკონტროლებს ცენტრის თანამშრომლების მიერ ფუნქციების შესრულებას;

ე) ანაწილებს ცენტრში შემოსულ კორესპონდენციას;

ვ)პერიოდულად ცენტრის თანამშრომლებისგან ისმენს ანგარიშს მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ;

ზ)საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ავიზებს ცენტრში მომზადებულ დოკუმენტებს;

თ)უნივერსიტეტის რექტორს წარუდგენს ცენტრის საქმიანობის შესახებ წლიურ ანგარიშს;

ი)უნივერსიტეტის რექტორს წარუდგენს წინადადებებს ცენტრის შიდა სტრუქტურის, შტატების, მუშაობის ორგანიზაციის, თანამშრომლების წახალისების ან დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ;

კ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ცენტრის სახელით გასცემს დასკვნებს;

ლ)შუამდგომლობს ცენტრის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების თაობაზე.

მ)ასრულებს რექტორის მითითებებს წიანმდებარე დებულებით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში.

მუხლი 6. ცენტრის თანამშორმლები

6.1. ცენტრის კოორდინატორი:

ა) ასრულებს მისთვის საქართველოს კანომდებლობით, წინამდებარე დებულებით, ცენტრის

მიერ შემუშავებული გამოცდების ჩატარების ინსტრუქციის, სამუშაო აღწერილობით, ცენტრის უფროსის მიერ დაკისრებულ მოვალეობებსა და ცალკეულ დავალებებს;

ბ) პასუხისმგებელია მის მიერ შესრულებულ სამუშაოზე;

გ) პასუხისმგებელია მასზე განაწილებული, შესასრულებელი დოკუმენტაციის დაცვა-შენახვაზე;

დ) ამზადებს პასუხს მისთვის გადაცემულ კორესპონდენციაზე;

6.2. დამკვირვებლები

6.2.1. დამკვირვებელი შეიძლება იყოს ცენტრის კოორდინატორი, ფაკულტეტის თანამშრომელი, ან ხელშეკრულებით მოწვეული პირი.

6.2.3.დამკვირვებლად მოწვეულ პირთა რაოდენობას ცენტრის უფროსი ათანხმებს რექტორთან
8.2.4. დამკვირვებლის უფლება-მოვალეობები, სამუშაო პირობები, განისაზღვრება გამოცდების

ჩატარების ინსტრუქციით, ცენტრის უფროსის სამსახურებრივი დავალებებით, მისი სამუშაო აღწერილობით.

თავი I V

დასკვნითი დებულებები

მუხლი 7.

7.1. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7.2. ცენტრის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7.3. დებულება ძალაშია საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ მისი დამტკიცების მომენტიდან.

7.4. დებულება ძალას კარგავს ახალი დებულების დამტკიცების ან/და ცენტრის ლიკვიდაციის შემთხვევაში.